ცნობა

გიორგი მღებრიშვილი დაიბადა 1970 წლის 9 მაისს, ქ.თბილისში.

1996 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, იურისტის კვალიფიკაციით.

1998-2004 წლებში იყო შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელი.

2004-2007 წლებში იყო ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის გამომძიებელი.

2007 წლიდან 2013 წლამდე მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის-საბაჟო საგუშაგოს თბილისის აეროპორტის უფროსად; რუსთავის რეგიონალური ცენტრის საბაჟო ოპერაციების დამუშავების საპატრულო განყოფილების უფროსად; რუსთავის რეგიონალური ცენტრის უფროსის მოადგილედ; ფოთის რეგიონალური ცენტრის უფროსის მოადგილედ; იყო ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დასავლეთის პორტალის მთავარი სამმართველოს უფროსი; პრევენციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; საგადასახადო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; საბაჟო დეპარტამენტის უფროსი; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

2013 წელს დაინიშნა შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს სამმართველოს უფროსად.

2013 წლის 13 დეკემბერს დაინიშნა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტები და ქალაქი რუსთავი) სახელმწიფო რწმუნებულად-გუბერნატორად.

2014 წლის 22 ივლისიდან 2015 წლის 3 აგვისტომდე იყო საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი.

2015 წლის პირველ აგვისტოს დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად.

მინიჭებული აქვს პოლიციის მაიორის სპეციალური წოდება.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

ფლობს რუსულ ენას.